საინფორმაციო ფურცელი

2026

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

აპრილი-ივნისი

სარჩევი

სტრატეგიული მიმართულებები და ახალი ინიციატივები
- ICPEN-ის 2026-2027 წლების პრეზიდენტობა
- ელექტრონული კალათა - www.ekalata.gov.ge
- საერთაშორისო თანამშრომლობა და მემორანდუმები

ბაზრების ზედამხედველობა
- სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგი
- კონცენტრაციების კონტროლი
- კონკურენციის პოლიტიკა
- ანტიდემპინგის მიმართულება

მომხმარებლის დაცვა
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები
- ახალი სტანდარტები და რეკომენდაციები

განათლება და ცნობიერების ამაღლება
- სასწავლო-კვლევითი ცენტრის აქტივობები
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო მომხმარებელთა დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელის (ICPEN) 2026-2027 წლების პრეზიდენტი უწყებაა

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
2026 - 2027 წლებში
მომხმარებლის დაცვის და აღსრულების საერთაშორისო ქსელს
(ICPEN) უხელმძღვანელებს
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
ICPEN
International Consumer Protection and Enforcement Network

ICPEN-ის პრეზიდენტობის ფარგლებში, 2026 წლის სექტემბერში, თბილისში, უწყება მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს, რომელსაც 80-მდე ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრება.

ICPEN CONFERENCE
AND HIGH LEVEL MEETING
14-18 September, 2026
GEORGIA
ICPEN PRESIDENCY
BUILDING TRUST IN THE DIGITAL AGE
2026 | 2027
ICPEN
Georgian Competition and Consumer Agency

კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო ICPEN-ის პრეზიდენტობის პერიოდში, წევრ ქვეყნებთან ერთად, სამ პრიორიტეტულ საკითხზე იმუშავებს: გააძლიეროს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების, გლობალური სტანდარტების შემუშავების და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით; გააძლიეროს ციფრულ ბაზრებზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები; გააძლიეროს ახალგაზრდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის უწყებები გამოცდილ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გაღრმავებით.

ICPEN-ის პრეზიდენტობის მთავარი გზავნილია - „ციფრულ ეპოქაში ნდობის შენება" (Building Trust in the Digital Age).

მომხმარებელთა დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელი 1992 წელს დაარსდა. ორგანიზაცია 80-ზე მეტ წევრ ქვეყანას და წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებს აერთიანებს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1959&lng=geo

GCCA Priorities During the ICPEN Presidency 2026-2027
ICPEN 2026 BEST PRACTICES
WORKSHOP CONFERENCE

ICPEN 2026 BEST PRACTICES
WORKSHOP CONFE

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ, მიმდინარე წლის ივნისში, მომხმარებელთა დაცვისა და აღსრულების საერთაშორისო ქსელის (ICPEN) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

ირაკლი ლექვინაძემ, საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, ღონისძიების მონაწილეებს მომხმარებელთა დაცვის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და თანამედროვე ციფრულ გამოწვევებზე სათანადო რეაგირების მიმართულებით სააგენტოს აქტივობები გააცნო და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1947

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ საოჯახო კალათის პროგრამის მონიტორინგისთვის ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა წარადგინა - ელექტრონული კალათა მომხმარებლებს სხვადასხვა ქსელში საბაზისო პროდუქტებზე არსებულ საუკეთესო შეთავაზებებსა და ფასებს ერთ სივრცეში სთავაზობს

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ საოჯახო კალათის პროგრამაში შემავალი საბაზისო პროდუქტების შესახებ საინფორმაციო პორტალი - www.ekalata.gov.ge წარადგინა.

ელექტრონული კალათა მომხმარებლებს სხვადასხვა ქსელში საბაზისო პროდუქტებზე არსებულ საუკეთესო შეთავაზებებსა და ფასებს ერთ სივრცეში სთავაზობს.



პრემიერ-მინისტრის ინიციატივის და პარლამენტის სასურსათო პროდუქციის, მედიკამენტებისა და საწვავის ფასწარმოქმნის სტრუქტურის შემსწავლელი დროებითი კომისიის დასკვნის მოკლევადიანი სტრატეგიის მიხედვით, ქსელებმა დაიწყეს მომხმარებლისთვის საუკეთესო შეთავაზებები, საოჯახო კალათის საბაზისო სასურსათო პროდუქციაზე. სტრატეგიის ფარგლებში სააგენტოს დაევალა, მომხმარებლებს ქსელურ მარკეტებში საოჯახო კალათის პროგრამაში შემავალ საბაზისო პროდუქტებზე არსებული საუკეთესო შეთავაზებებისა და ფასების შესახებ ინფორმაცია ერთ სივრცეში, ელექტრონული კალათის ფორმატში შესთავაზოს.

ვებ-გვერდზე www.ekalata.gov.ge განთავსებულია საოჯახო კალათაში შემავალ 13 საბაზისო სასურსათო პროდუქტზე - 13 უმსხვილეს ქსელში წარმოდგენილი საუკეთესო ფასები. მომხმარებლებს საშუალება აქვთ, შეადარონ პროდუქტის ღირებულებები და საუკეთესო შეთავაზებების შესახებ მიიღონ ინფორმაცია. გარდა ამისა, მოქალაქეებს შეუძლიათ, კატეგორიის მიხედვით მოძებნონ, თუ სად შეიძენენ მათთვის სასურველ პროდუქტს საუკეთესო პირობებით და შექმნან საკუთარი კალათა, სადაც ასახული იქნება ფასების ჯამური მაჩვენებელი.



პორტალის პრეზენტაციაზე GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ აღნიშნა, რომ პლატფორმის მიზანია, მომხმარებლის ინფორმირებულობა და ბაზარზე არსებული შეთავაზებების უფრო გამჭვირვალე წარმოდგენა. მისივე თქმით, ელექტრონული პლატფორმა ხელს შეუწყობს FMCG სექტორში კონკურენციის ხარისხის შემდგომ გაძლიერებას და მოქალაქეებს საშუალებას მისცემს გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი.

პროგრამაში ჩართული ქსელები ვალდებულები იქნებიან, სააგენტოს ყოველკვირეულად მიაწოდონ ინფორმაცია საოჯახო კალათის პროგრამაში შემავალ საბაზისო პროდუქტებზე არსებული საუკეთესო შეთავაზებებისა და ფასების შესახებ, რომელიც საინფორმაციო პორტალზე პროაქტიულად განახლდება. დაგეგმილია ვებ-პორტალის შემდგომი განვითარებაც, რომ მომხმარებელთა ინფორმირება მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი. საუკეთესო შემოთავაზებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდება სხვადასხვა სამაუწყებლო და სატელევიზიო ფორმატებში, ასევე შეიქმნება სპეციალური აპლიკაცია მობილური მოწყობილობებისთვის.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში პარლამენტის სასურსათო პროდუქციის, მედიკამენტებისა და საწვავის ფასწარმოქმნის სტრუქტურის შემსწავლელმა დროებითმა კომისიამ FMCG-ი სექტორი შეისწავლა, რის შედეგადაც კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით მომზადდა კომპლექსური დასკვნა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო FMCG ბაზრის მონიტორინგს კონკურენციის ხარისხის შეფასების მიზნით 2023 წლიდან ახორციელებს. სააგენტოს შეფასებით, 2025 წელს FMCG ბაზრის მოცულობა 14 მლრდ ლარს გაუტოლდა, ორგანიზებული ბაზრის წილმა კი 64 % შეადგინა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1956

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისა და გამჭვირვალე, სამართლიანი და პროგნოზირებადი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, GCCA-მა რიგი მნიშვნელოვანი სტანდარტები დაადგინა

ღონისძიების გაუქმების ან გადადებისას ბილეთის დაბრუნების სტანდარტი

ბილეთის შეძენისას, თუ ღონისძიება გაუქმდა ან გადაიდო, მომხმარებლებს სრული თანხა უნდა დაუბრუნდეს. მათ შორის, პლატფორმის მომსახურების საკომისიოც.

მარაგების განახლებისა და ალტერნატიული შეთავაზების სტანდარტი

მოვაჭრე ვალდებულია, მარაგების შესახებ ინფორმაცია დროულად და მკაფიოდ განაახლოს. თუ მარაგის ამოწურვის გამო მომხმარებელი ფასდაკლებულ ნივთს ვერ მიიღებს, მოვაჭრემ ალტერნატიულ საქონელზე უნდა შესთავაზოს იმავე ფასდაკლების პირობები, რომლებიც მოქმედებდა ფასდაკლების დღეს.

„ოდომეტრის" მონაცემის შეცვლა აკრძალულია

ავტომობილის გარბენის შესახებ მონაცემი არსებითი ინფორმაციაა, რომელიც განსაზღვრავს მის ფიზიკურ მდგომარეობას და უსაფრთხოებას. „ოდომეტრის" ჩვენების შეცვლა იკრძალება და კვალიფიცირდება, როგორც შეცდომაში შემყვანი უსამართლო საქმიანობა.

ცრუ დეფიციტი და ყალბი უკუთვლა აკრძალულია

„დარჩა მხოლოდ 1 ცალი", „აქცია სრულდება 5 წუთში", თუ ეს რეალური არ არის, აღნიშნული მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას წარმოადგენს. საქონლის მუდმივად რაოდენობაზე ცრუ მითითება და ყალბი უკუთვლელის გამოყენება აკრძალულია.

მენიუში ფასი საბოლოო და გასაგები უნდა იყოს

კვების ობიექტების მენიუში მითითებული ფასი უნდა იყოს საბოლოო და მოიცავდეს ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს და მომსახურების საფასურს.

ნაკლოვანი საქონლის შეკეთების ვადა

სტანდარტულ შემთხვევებში ნივთის საგარანტიო შეკეთების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ დასაბუთებული გარემოებების, მაგალითად ნაწილის უცხოეთიდან ჩამოტანის შემთხვევაში.

მომხმარებელს მომსახურების ქართულ ენაზე მიღება უნდა შეეძლოს

მომხმარებელს უფლება აქვს, ინფორმაცია და მომსახურება სახელმწიფო ენაზე მიიღოს და მისი არცოდნა არ შეიძლება მომსახურების გაწევაზე უარის თქმის მიზეზი იყოს.

ერთეული ფასის მითითების სტანდარტი

საქონელზე, რომელიც წინასწარ შეფუთული არ არის და მომხმარებლის თვალწინ იწონება ან იზომება, უნდა მიეთითოს ერთეულის (1 კგ, 1 ლიტრი, 1 მეტრი და ა.შ.) ფასი.

ყალბი შეფასებების გამოყენება აკრძალულია

დისტანციური ვაჭრობისას, მომხმარებლის ყალბი შეფასებების გამოყენება წარმოადგენს უსამართლო კომერციულ საქმიანობას და აკრძალულია.

შეფუთვა ან დიზაინი არ უნდა იწვევდეს არასწორ ასოციაციას

როდესაც საქონელი ცნობილ ბრენდს ჰგავს, მისი წარმომავლობა მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული. მომხმარებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, ვის პროდუქტს იძენს.

შუალედური მომსახურების მიწოდების სტანდარტი

შუალედური მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თავის პლატფორმაზე მოვაჭრის შესახებ ინფორმაციის (დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და საკონტაქტო ინფორმაცია) მითითება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავად იდენტიფიცირდება მოვაჭრედ.

გარემოსდაცვითი განცხადებები უნდა იყოს სანდო და გადამოწმებადი

„მწვანე", „ეკო", „ბუნებრივი" და მსგავსი სიტყვები მტკიცებულების გარეშე არ უნდა გამოიყენებოდეს. გადაჭარბებული ან ბუნდოვანი „მწვანე" დაპირებები, ე.წ. Greenwashing, დაუშვებელია.

საქონლის შეფუთვა უნდა პასუხობდეს მის შემადგენლობას

დაუშვებელია საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც არ ასახავს მის რეალურ შემადგენლობას. მაგალითად, დაუშვებელია ხილის წვენის შეფუთვაზე ვაშლის ვიზუალურად არ მითითება, როდესაც მისი წილი 90 %-ია, ან წარწერა „ალუბლის და ბროწეულის წვენი 100%", როცა ამ ინგრედიენტების შემცველობა მინიმალურია.

კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებისა და სამართლიანი ბაზრის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, GCCA-ი მნიშვნელოვანი სტანდარტებისა და რეკომენდაციების დანერგვას განაგრძობს

კარტელური გარიგებები აკრძალულია

კონკურენტებს შორის ფასებზე, ბაზრის გაყოფაზე ან წარმოების მოცულობაზე შეთანხმება უშუალოდ დარღვევაა. ნებისმიერი ფარული გარიგება, რომელიც ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას კანონით ისჯება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია

საბაზრო ძალაუფლების ფლობა დარღვევა არ არის, თუმცა ამ ძალაუფლების გამოყენება კონკურენტების ბაზრიდან განსადევნად ან მომხმარებლისთვის უსამართლო პირობების დასაწესებლად აკრძალულია.

ჭარბი ფასნამატის დაწესება დაუშვებელია

დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიას ეკრძალება პროდუქციაზე უსამართლოდ მაღალი (ჭარბი) ფასის დაწესება.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია

ბიზნესმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი მეთოდები, როგორიცაა კონკურენტის რეპუტაციის შელახვა, მისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება ან მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა კონკურენტის პროდუქციასთან დაკავშირებით.

კონცენტრაციაზე სააგენტოს თანხმობა აუცილებელია

კომპანიების შერწყმა, გაერთიანება, წილების შეძენა ან კონტროლის მოპოვება ექვემდებარება სააგენტოსთან შეტყობინებას და მის თანხმობას, თუ მონაწილე კომპანიების წლიური ერთობლივი შემოსავალი აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.

სახელმწიფო უწყებების მიერ კონკურენციის შეზღუდვა დაუშვებელია

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც კონკრეტულ ბიზნესს უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს თავისუფალ შეჯიბრებას.

შეთანხმებული ქმედება სახელმწიფო შესყიდვებში

ტენდერებში მონაწილეებს შორის ფარული გარიგება ფასების ან პირობების შესახებ კანონსაწინააღმდეგოა. კონკურენცია შესყიდვებში უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ ხარჯვას.

დისკრიმინაციული პირობების დაწესება აკრძალულია

დომინანტმა კომპანიამ სხვადასხვა ბიზნესპარტნიორს იდენტურ ტრანზაქციებზე არ უნდა დაუწესოს განსხვავებული პირობები, რაც მათ არათანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

ბაზრის კვლევის ან მოკვლევის პროცესში, ეკონომიკური აგენტი ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს სრული და უტყუარი ინფორმაცია. არასწორი ან/და არასრული ინფორმაციის მიწოდება ან მოთხოვნის იგნორირება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თანამშრომლობის პროგრამა

კარტელის მონაწილე, რომელიც მიმართავს სააგენტოს და აღიარებს დარღვევას, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ფინანსური სანქციისგან.

სამართლიანი კონკურენციისა და ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვის მიზნით, GCCA-ი ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღსრულებას უზრუნველყოფს.

ინფორმაცია დემპინგის, ანტიდემპინგური შესწავლისა და ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მექანიზმების შესახებ:

რა არის დემპინგი

საერთაშორისო ვაჭრობაში ფასისმიერი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმა, როდესაც უცხო ქვეყნის მწარმოებელი საქართველოში პროდუქტს თვითღირებულებაზე დაბალ ფასად ყიდის. მწარმოებელი ქვეყნის ბაზარზე არსებულ ფასსა და საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის ფასს შორის სხვაობას დემპინგური ზღვარი ეწოდება.

ანტიდემპინგური ღონისძიების აღსრულება

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო - განახორციელებს შემოწმებას, აფასებს დასკვნას და წარუდგენს მთავრობას;

საქართველოს მთავრობა - იღებს გადაწყვეტილებას ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ;

შემოსავლების სამსახური - ახორციელებს ანტიდემპინგური ღონისძიების ადმინისტრირებას.

ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების საფუძველია ადგილობრივი ინდუსტრიის სახელით გაკეთებული განცხადება

- განცხადების მხარდამჭერი კომპანიების მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა მთლიანი ადგილობრივი წარმოების სულ მცირე 25%-ს უნდა შეადგენდეს.
- განცხადების მხარდამჭერი მწარმოებლები უფრო მეტ პროდუქციას უნდა აწარმოებდნენ (50%-ზე მეტი), ვიდრე ისინი, რომლებიც განცხადებას ეწინააღმდეგებიან.

GCCA-ი არ დაიწყებს, ან დაასრულებს ანტიდემპინგურ შესწავლას, თუ:

- საქართველოში იმპორტირებული შესწავლის პროდუქტის წილი, მთლიანი იმპორტის 3%-ზე ნაკლებია, ხოლო მთლიან იმპორტში 7%-ზე ნაკლები.
- დემპინგური ზღვარი 2%-ზე ნაკლებია.

ანტიდემპინგური შესწავლის მიზანია:

დემპინგური იმპორტის არსებობის დადგენა;

ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის, ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენა;

მიყენებულ ზიანსა და დემპინგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა.

დემპინგური იმპორტისაგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვის მექანიზმები

წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიება - წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფი, ან უზრუნველყოფის ფორმით შემოღებული დროებითი ზომა.

ვალდებულება ფასთან მიმართებით - ექსპორტიორი კომპანიების მიერ აღებული ნებაყოფლობითი ვალდებულება ფასის გადახედვასთან, ან ექსპორტის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი - დემპინგური იმპორტით ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად შემოღებული ტარიფი, რომელიც განისაზღვრება პროდუქტისა ოდენობით და არა უმეტეს 5 წლის ვადით.

სტრატეგიული ბაზრების ანალიზი





თანამშრომლობის მემორანდუმები

კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

დოკუმენტს ხელი GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის მიზანია ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა და კონკურენციის სამართლის, ანტიდემპინგის მიმართულებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში პროფესიული სტანდარტების განვითარება, მათ შორის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კონკურენციის სამართლის კომიტეტის ჩართულობით.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1910&lng=geo

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და შვედეთის მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმს ხელი, შვედეთში გამართული სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ და KOV-ის გენერალურმა დირექტორმა ლენა არონსონმა მოაწერეს.

მემორანდუმი მიზნად ისახავს უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1915&lng=geo


საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER OF GEORGIA
სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო
კომუნიკაციების კომისია
Georgian Competition and Consumer Agency

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, საქართველოს სახალხო დამცველსა და ახალგაზრდობის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის თანამშრომლობა, რაც მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული ცენტრებისა და სივრცეების გაძლიერებას, მათ სტრატეგიულ განვითარებასა და ახალგაზრდებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფას, ასევე სახელმწიფო სერვისების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.

მემორანდუმის თანახმად, 12 საპილოტე მუნიციპალიტეტში (ფოთი, ადიგენი, ზესტაფონი, ქუთაისი, ხელვაჩაური, დუშეთი, ახმეტა, ხაშური, ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი და რუსთავი) საჯარო უწყებები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ჩაატარებენ საგანმანათლებლო და საინფორმაციო შეხვედრებსა და სემინარებს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1946&lng=geo

სტრატეგიული ბაზრების მიმდინარე მონიტორინგები:

- საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგი
- სამედიცინო მომსახურების ბაზრის მონიტორინგი
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზრის მონიტორინგი
- ბავშვთა კვების პროდუქტების ბაზრის მონიტორინგი
- FMCG ბაზრის მონიტორინგი
- თამბაქოს ბაზრის მონიტორინგი
- თხილის ბაზრის მონიტორინგი
- მოცვის ბაზრის მონიტორინგი

GCCA-მა პლასტმასის მილების ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგი დაასრულა - 2022-2025 წლებში საქართველოში პოლიეთილენის მილების ბაზარზე არ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რომლებიც ადგილობრივ ინდუსტრიაზე იმპორტით გამოწვეული მატერიალური ზიანის არსებობაზე მიუთითებდა

ფასების განვითარების ანალიზის მიხედვით, შესწავლის პერიოდში ფასების კლების ტენდენცია როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქტის შემთხვევაში ძირითადად საერთაშორისო ბაზრებზე პოლიეთილენის ნედლეულის ფასების ცვლილებებს შეესაბამებოდა. ასევე, შეფასების შედეგად დემპინგური ფასებით განხორციელებული იმპორტის ნიშნები არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგების საფუძველზე არ დგინდება, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შესაძლო გაუარესება გამოწვეული იყო იმპორტის ზრდით ან დემპინგური ფასებით განხორციელებული იმპორტით.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1929&lng=geo

https://gcca.gov.ge/uploads_script/antidumping/tmp/phph20JtT.pdf

კონცენტრაციების კონტროლი

საქართველოში 2026 წლის მეორე კვარტალში 4556 კონცენტრაცია დარეგისტრირდა, მათ შორის, 4 კონცენტრაცია სავარაუდოდ GCCA-სთან წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარებოდა, რასთან დაკავშირებითაც სააგენტომ საქმის წარმოება დაიწყო

2026 წლის მეორე კვარტალში GCCA-მა 8 კონცენტრაციაზე გასცა თანხმობა

GCCA-მა სამშენებლო, სარეაბილიტაციო და საპროექტო სამუშაოების მიწოდების სფეროში განხორციელებული კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შპს „საბა ინვესტის" მიერ შპს „მედეგის" 100 %-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო.

კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული პირები საქმიანობენ სამშენებლო, სარეაბილიტაციო და საპროექტო სამუშაოების მიწოდების სფეროში.

სააგენტომ დაადგინა, რომ ბაზარი 2024 წელს დაბალკონცენტრირებული იყო. კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული პირების საბაზრო წილები კი საკმაოდ მცირეა და დაბალია ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელიც (ΔHHI).

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1916&lng=geo

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ავტო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შპს „ამბოლის" მიერ შპს „ვისოლ ავტო ექსპრესის" აქტივების შეძენის გზით განსახორციელებელ კონცენტრაციაზე თანხმობა გასცა.

კონცენტრაციაში მონაწილე პირები ავტო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში საქმიანობენ. განსახილველი კონცენტრაციის შესაფასებლად, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა საავტომობილო აკუმულატორების, საბურავებისა და ზეთების ბაზრების შეფასებაზე.

ანალიზის თანახმად, საავტომობილო ზეთების ბაზარი იმპორტის დონეზე 2025 წელს დაბალკონცენტრირებულია, ამასთან, დაბალია ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი (ΔHHI). რაც შეეხება საავტომობილო საბურავებისა და აკუმულატორების ბაზრებს, ამავე წელს იმპორტის დონეზე ორივე მათგანი ზომიერად კონცენტრირებულია და კონცენტრაციის ინდექსი მცირედით აღემატება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელს. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი (ΔHHI) ორივე შემთხვევაში 250-ზე ნაკლებია, შესაბამისად კონცენტრაცია ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას არ იწვევს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1919&lng=geo

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ბავშვთა კვების პროდუქტების მიწოდების სფეროში განხორციელებული კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ფ/პ გიორგი თვალაძის მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის" 70 %-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებულ კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო.

ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის სპეციფიკიდან და მათი პროდუქციის ასორტიმენტიდან გამომდინარე, სააგენტომ შეისწავლა შემდეგი ბაზრები: 1) დედის რძის შემცვლელი ადაპტირებული ნარევი 0-დან 12 თვემდე ბავშვებისათვის; 2) რძე 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის; 3) რძიანი და ურძეო ფაფები; 4) საბავშვო მზა საკვები პროდუქტები; 5) საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებები; 6) საკონსულტაციო მომსახურება.

ანალიზმა ცხადყო, რომ ბავშვთა კვების პროდუქტების შესაბამისი ბაზრები ოთხივე მიმართულებით ზომიერად კონცენტრირებულია, ხოლო კონცენტრაციაში მონაწილე პირის საბაზრო წილები მცირეა. საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების, ისევე, როგორც საკონსულტაციო მომსახურების ბაზრები დაბალკონცენტრირებულია, ხოლო შესაბამისი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები - მცირე.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1923&lng=geo

GCCA-მა საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზრის საბითუმო და საცალო რეალიზაციის დონეებზე განხორციელებული კონცენტრაციები კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზრის საბითუმო და საცალო რეალიზაციის დონეებზე განხორციელებული ორი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო. კერძოდ, საქმე ეხება შპს „აითიენის“ მიერ შპს „ჰორეკა დელივერისა“ და შპს „გასტრონომ საქართველოს“ 20%-იანი წილების შეძენის გზით განხორციელებულ კონცენტრაციებს.

სამიზნე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად ერთ შემთხვევაში საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზრის საბითუმო/სადისტრიბუციო, ხოლო მეორე შემთხვევაში საცალო რეალიზაციის დონე იქნა მიჩნეული.

დადგინდა, რომ შესაბამისი ბაზრის ორივე დონე დაბალკონცენტრირებულია და HHI მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს, ხოლო სამიზნე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები მცირეა. ამდენად, სააგენტოს პოზიციით, განხორციელებული კონცენტრაციები შესაბამის ბაზრებზე არსებით გავლენას არ ახდენს და კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1951

GCCA-მა სამშენებლო არმატურის ბაზარზე განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შპს „პიემ მეტალის“ მიერ შპს ,,რუსთავის ფოლადისაგან“ შპს „იბერია რიბარის“ 100%-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო.

ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად მიჩნეულ იქნა სამშენებლო არმატურის (ცხლად ნაგლინი ფოლადის გრძელი პროდუქციის) მიწოდების ბაზარი მისი შემდგომი ჩაშლისა და ქვეკატეგორიზაციის გარეშე.

ანალიზმა ცხადყო, რომ სამშენებლო არმატურის (ცხლად ნაგლინი ფოლადის გრძელი პროდუქციის) ბაზარი 2025 წელს ზომიერად კონცენტრირებულია. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ ბაზარი კვლავ ზომიერად კონცენტრირებული რჩება. ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელი (ΔHHI) საგრძნობლად ჩამოუვარდება 250-ს, რაც გულისხმობს, რომ კონცენტრაცია არ იწვევს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

GCCA-მა ბავშვისა და დედის მოვლის საშუალებების ბაზარზე განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ სს „გეფას“ მიერ შპს „ჯი-ბი-სის“ 100 %-იანი წილის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო.

კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად მიჩნეულ იქნა ბავშვისა და დედის მოვლის საშუალებების ბაზარი შემდგომი ქვეკატეგორიზაციის გარეშე.

ანალიზის თანახმად, 2025 წელს ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და HHI მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს. სამიზნე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი დაბალია და, შესაბამისად, უმნიშვნელოა ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის ზრდის მაჩვენებელიც.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1955&lng=geo

GCCA-მა სამედიცინო მომსახურების ბაზარზე განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ მიერ შპს „დია გული-საუნივერსიტეტო ჰოსპიტალზე“ კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნო.

კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად მიჩნეულ იქნა სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბაზარი 2025 წელს ყველა მიმართულებით დაბალკონცენტრირებულია. კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული სუბიექტების საბაზრო წილები მცირეა. შესაბამისად, უმნიშვნელოა ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის ზრდის მაჩვენებელიც.

კონცენტრაციების კონტროლის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, "კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესში" ცვლილებები შევიდა

არსებული ნორმატიული ჩანაწერის საფუძველზე, კონცენტრაციის თაობაზე სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ წარმოიშობოდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონცენტრაციაში უშუალოდ მონაწილე პირისა და მისი მაკონტროლებელი ან/და მის კონტროლს დაქვემდებარებული პირების ერთობლივი შემოსავლები არ აკმაყოფილებდა წესში მითითებული ერთობლივი შემოსავლების ზღვრულ მაჩვენებლებს, თუმცა იმავე მაკონტროლებელი სუბიექტის კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ეკონომიკური აგენტის/აგენტების ერთობლივი შემოსავლები აღემატებოდა წესით განსაზღვრულ ზღვრულ მაჩვენებლებს.

იმ მიზნით, რომ აღნიშნულ ჩანაწერს სრულად მოეცვა კონცენტრაციების კონტროლის მიზნებისათვის კონტროლის მომპოვებელი ან/და სამიზნე ეკონომიკური აგენტის ჯგუფში შემავალი ეკონომიკური აგენტები და მეტად გაეზარდა კონცენტრაციების კონტროლის ეფექტურობა, ცვლილებით განისაზღვრა, რომ კონცენტრაციაში მონაწილე პირების ერთობლივი შემოსავლების გამოთვლის მიზნებისათვის გათვალისწინებული იქნება იმ ეკონომიკური აგენტების ერთობლივი შემოსავლებიც, რომლებიც არიან კონცენტრაციაში მონაწილე პირის მაკონტროლებელი პირის კონტროლს დაქვემდებარებული სუბიექტები.

განხორციელებული ცვლილების შედეგად, ასევე წესის თანახმად განისაზღვრა კონცენტრაციაში მონაწილე პირთა/მხარეთა წრე. აგრეთვე, წესს დაემატა კონცენტრაციის მხარესთან/მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრის გამართვის შესაძლებლობა და მისი ჩატარების პროცედურები.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1952&lng=geo

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შპს „მულტილინგვისტის“ საჩივარზე დაუშვებლობის გადაწყვეტილება მიიღო.

საკითხი ეხებოდა მოპასუხე კომპანიების - შპს „თრანსლეით ჰაბის“, შპს „თიემენ გრუპის“, შპს „ნიუ თრანსლეიშენის“ და შპს „ვორდსფეისის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-7 და 11 (3) მუხლების სავარაუდო დარღვევას.

https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpYqBseN.pdf

GCCA-მა შპს „მილენიალსის“ საჩივარზე დაუშვებლობის გადაწყვეტილება მიიღო.

საჩივარი ეხებოდა სს „მამათის“ მხრიდან კანონის 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევას. კერძოდ, საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ მოპასუხე იყენებდა მომჩივნის პროდუქტის (ჩაის) შეფუთვასა და ვებ-გვერდის დიზაინს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1909

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ ს/ს ,,ბაშკირ სოდა კომპანიის“ საჩივარზე დაუშვებლობის გადაწყვეტილება მიიღო

საჩივარი ეხებოდა შპს ,,სანტრეიდის“ მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11(3) მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს, კერძოდ მომჩივნის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის სავარაუდო უკანონო გამოყენების შედეგად არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებას.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1954&lng=geo

GCCA-მა შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო ჯარიმა დააკისრა

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში, სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 10 ნოემბრის N04/1320 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარეობს საქმის მოკვლევა შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11 (3) მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საქმის მოკვლევის ფარგლებში, სააგენტომ გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოპასუხე ეკონომიკური აგენტისგან, რაც, წერილის ჩაბარების მიუხედავად, ეკონომიკურმა აგენტმა განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგინა. შესაბამისად, შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ დაეკისრა ჯარიმა - 3 000 ლარის ოდენობით.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1935&lng=geo

GCCA-მა ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე, ა(ა)იპ „მგვ საქართველოს“ საჩივრის საფუძველზე მოკვლევა დაიწყო

საჩივარი შეეხება ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) შესაძლო დარღვევის ფაქტს.

საკითხი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებას უკავშირდება. მომჩივნის განცხადებით, მოპასუხე ასოციაცია მისი წევრი კომპანიების ორგანიზაციიდან გასვლის პროცესს აფერხებს, რაც ხელს უშლის მათ ალტერნატიულ მგვ ორგანიზაციაში გაწევრიანებას. მისივე განმარტებით, აღნიშნული ქმედებები შეეხო იმ მწარმოებლებს, რომლებმაც გამოთქვეს ა(ა)იპ „მგვ საქართველოში“ გაწევრიანების სურვილი.

სააგენტოში შეიქმნა მოკვლევის ჯგუფი, რომელსაც საკითხის შესწავლა დაევალა.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1936&lng=geo

მომხმარებლის უფლებების დაცვა - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

დარღვევის დადასტურება:

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ JYSK-ს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი დაუდგინა

მომხმარებელმა მიმართა სააგენტოს საჩივრით, რომელიც JYSK-ის მიერ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის არასრულად მიწოდებას შეეხებოდა. კერძოდ, კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ინფორმაცია პროდუქციაზე 40%-იანი ფასდაკლების შესახებ, თუმცა ამავდროულად მითითებული იყო, რომ პროდუქტი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ფიზიკურ მაღაზიაში. მაღაზიაში შეძენისას, პროდუქტზე გავრცელდა მხოლოდ 30%-იანი ფასდაკლება, იმ საფუძვლით, რომ 40%-იანი ფასდაკლება მხოლოდ ონლაინ შეძენის შემთხვევაში მოქმედებდა, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია შეთავაზებაში არ იყო განმარტებული მკაფიოდ და ცალსახად. შესაბამისად, მომხმარებლის არასრულმა ინფორმირებამ მისი შეცდომაში შეყვანა გამოიწვია.

მოვაჭრის ქმედება სააგენტოს მიერ შეფასდა როგორც - მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციულ საქმიანობა, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებს და არსებითად აზიანებს მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს. შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოვაჭრეს დაევალა - 1 თვის ვადაში, მომხმარებელთა დარღვეული უფლებები აღადგინოს და სავაჭრო პოლიტიკა კანონის მოთხოვნებს შეუსაბამოს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1907

GCCA-მა რესტორან „ხინკლის სახლს“ კანონდარღვევა დაუდგინა - კომპანია საცნობარო (კვების) მენიუში მომხმარებელს არ აწვდიდა ინფორმაციას საქონლის საბოლოო ფასის შესახებ - მენიუში მითითებულ ფასებს ემატებოდა მომსახურების 15%

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შპს „გულიანს“ (რესტორანი „ხინკლის სახლი“) „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტი დაუდასტურა. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანია საცნობარო (კვების) მენიუში მომხმარებელს არ აწვდიდა ინფორმაციას საქონლის საბოლოო ფასის შესახებ - მენიუში მითითებულ ფასებს ემატებოდა მომსახურების 15 %.

სააგენტოს შეფასებით, მენიუებში, როდესაც მოვაჭრე დამატებით მომსახურების გადასახადს უთითებს მხოლოდ პროცენტის სახით, მომხმარებელს კი საბოლოო ფასის შესახებ ინფორმაციის მისაღებად უწევს ზედმეტი კალკულაცია და ეს ხარჯი მისთვის გარდაუვალია, წარმოადგენს მოვაჭრის მიერ განხორციელებულ უსამართლო კომერციულ საქმიანობას. მომხმარებელს არ უნდა უწევდეს დამატებითი ქმედების განხორციელება (მაგალითად, საბოლოო ფასის დამოუკიდებლად დაანგარიშება და პროცენტის გამოთვლა), რათა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია წინასწარ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოვაჭრეს დაევალა - ერთი თვის ვადაში, საცნობარო (კვების) მენიუში შეიტანოს ცვლილება და მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია საქონლის საბოლოო ფასის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება დამატებული ღირებულების გადასახადი და ყველა სხვა გადასახადი/ხარჯი, მათ შორის, მომსახურების გადასახადი.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1930&lng=geo

GCCA-მა ონლაინ მაღაზია „ხეირი ნახეს“, 22 მომხმარებლის განცხადების განხილვის საფუძველზე, უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი დაუდგინა

საქმის წარმოებაში ჩართული მომხმარებლების განცხადებებში დაფიქსირებული გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოვაჭრე სისტემატურად არღვევდა მომხმარებლების მიერ შეძენილი საქონლის მიწოდების ვადებს, ხოლო შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებლებისთვის თანხის დაბრუნებას არაგონივრული ვადით აგვიანებდა.

საქმის შესწავლისას, აგრეთვე, დარღვევა გამოიკვეთა ხელშეკრულების პირობებით შეთანხმებული საქონლის მიწოდების ნაწილშიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოვაჭრის ქმედება სააგენტოს მიერ შეფასდა, როგორც მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებს და არსებითად აზიანებს მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოვაჭრეს დაევალა - 1 თვის ვადაში, მომხმარებელთა დარღვეული უფლებები აღადგინოს და სავაჭრო პოლიტიკა კანონის მოთხოვნებს შეუსაბამოს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1933&lng=geo

GCCA-მა შპს „ისურვეს“, 78 მომხმარებლის განცხადების განხილვის საფუძველზე, უსამართლო კომერციული საქმიანობის განხორციელების ფაქტი დაუდგინა

საქმის წარმოებაში ჩართული მომხმარებლების განცხადებებში დაფიქსირებული გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოვაჭრე სისტემატურად არღვევდა მომხმარებლების მიერ შეძენილი ნივთების მიწოდების ვადებს, ხოლო შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში, მომხმარებლებისთვის თანხის დაბრუნებას არაგონივრული ვადით აგვიანებდა. საქმის შესწავლისას, დარღვევა გამოიკვეთა ხელშეკრულების პირობებით შეთანხმებული საქონლის მიწოდების ნაწილშიც.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, მოვაჭრეს დაევალა - 1 თვის ვადაში, მომხმარებელთა დარღვეული უფლებები აღადგინოს და სავაჭრო პოლიტიკა კანონის მოთხოვნებს შეუსაბამოს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1917

ჯარიმა

GCCA-მა შპს „ისურვე“, სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო, 115 396 ლარით დააჯარიმა

მოვაჭრეს სააგენტოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთი თვის ვადაში უნდა აღედგინა მომხმარებელთა დარღვეული უფლებები, მათ შორის, საქონლის მიწოდების ვადებთან დაკავშირებით და სავაჭრო პოლიტიკა კანონის მოთხოვნებთან შესაბამებინა, რაც კომპანიის მხრიდან არ შესრულებულა.

კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოვაჭრის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 2 %-ს. ჯარიმის დაკისრებისას, სააგენტომ გაითვალისწინა კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმები, კერძოდ - დარღვევის მასშტაბი, განზრახულობა, სიმძიმე, ხანგრძლივობა და მისი სისტემური ხასიათი.

ჯარიმის დაკისრება მოვაჭრეს სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან არ ათავისუფლებს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1950

GCCA-მა შპს „ორბი ჯგუფი ბათუმი“ მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდებისთვის დააჯარიმა

სააგენტოში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, რომელიც კომპანიის უსამართლო კომერციულ საქმიანობას შეეხებოდა, GCCA-მა დაიწყო საქმის შესწავლა - შპს „ორბი ჯგუფი ბათუმის“ მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

საქმის სრულყოფილად გამოკვლევისა და განცხადებაში მითითებული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სააგენტომ კომპანიისგან რამდენჯერმე გამოითხოვა კონკრეტული ინფორმაცია, თუმცა შპს „ორბი ჯგუფი ბათუმმა“, სააგენტოში წარმოდგენილი წერილებით, უარი განაცხადა თანამშრომლობასა და მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე.

კანონმდებლობის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, საქმის შესწავლის მიზნით მოვაჭრისგან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია) და განსაზღვროს ამ ინფორმაციის მიწოდების გონივრული ვადა. მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში სააგენტოსთვის მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში, მოვაჭრე 500 ლარით ჯარიმდება.

ჯარიმის დაკისრება კომპანიას მოთხოვნილი ინფორმაციის სააგენტოსათვის მიწოდების ვალდებულებისგან არ ათავისუფლებს.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1953&lng=geo



GCCA-მა, მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით, მიმდინარე წლის 6 თვის სტატისტიკა გამოაქვეყნა

მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით, მიმდინარე წლის 6 თვეში, GCCA-ში - 1276 განაცხადი დაფიქსირდა, ხოლო შემოსული ზარების რაოდენობამ 4025 შეადგინა. შემოსული განცხადებების რაოდენობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 112 %-ით არის გაზრდილი.

საანგარიშო პერიოდში, GCCA-ის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ჯგუფის უფლების 162 დარღვევის ფაქტი დადასტურდა - 417 საქმეზე. GCCA-ის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 75 მოვაჭრეს - 198 საქმეზე დაეკისრა ჯარიმა, ჯამში - 202 281 ლარის ოდენობით. ამასთან, მომხმარებლის სასარგებლოდ, პირობითი ვალდებულების აღების შესახებ 132 საქმეზე - 114 შეთანხმება გაფორმდა, რაც ნიშნავს, რომ მოვაჭრეებმა აიღეს ვალდებულებები - საქმიანობის შიდა პოლიტიკა შეცვალონ და იმ მომხმარებელთა უფლებები აღადგინონ, რომელთაც, სავარაუდოდ, წარსულში არსებული სავაჭრო პოლიტიკის შედეგად ზიანი მიადგათ.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, მომხმარებლის მიერ შემოსული განაცხადების 70% ონლაინ ვაჭრობის ფაქტს ეხებოდა, ხოლო 30% ნივთის ადგილზე შეძენის შემთხვევას. ადგილმდებარეობის მიხედვით, სააგენტოსთვის მომართვიანობისას, დიდი წილი - 82% თბილისს უჭირავს, შემდეგ კი მოდის რეგიონები - აჭარა 5%, იმერეთი 4%, ქვემო ქართლი 2%, კახეთი 2%, სამეგრელო ზემო-სვანეთი 1% და სხვ.

მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე დაფიქსირდა 532 განაცხადი, ნაკლიანი ნივთის შეკეთებასა ან შეცვლაზე 293, ნაკლოვანი მომსახურებისას უფლების აღდგენაზე 291, დადგენილ ვადაში საქონლის მიწოდებაზე 60, ხოლო სხვა დანარჩენზე - 100. სექტორების მიმართულებით, სტატისტიკის თანახმად, 70%-ს საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი იკავებდა, ტრანსპორტი და დასაწყობება 11%, ხელოვნება, გართობა და დასვენება - 3%, ხოლო სხვა სახის საქმიანობები 16%.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1960

სასწავლო კვლევითი ცენტრის აქტივობები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს სასწავლო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა თბილისსა და რეგიონებში, საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, 1500-მდე მოსწავლის მონაწილეობით, 51 საინფორმაციო - საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრა გამართეს.

GCCA-ი პროექტს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს და მისი მიზანია - კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების თაობაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის.

მიმდინარე წლის განმავლობაში, დედაქალაქის გარდა, შეხვედრები გაიმართა მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, იმერეთის, გურიის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. პროგრამის ფარგლებში, საინფორმაციო კამპანიამ დაფარა საზღვრისპირა სკოლები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კამპანიაში მათ აქტიურ ინტეგრაციას.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1939&lng=geo







მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ახალგაზრდებში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, თბილისისა და რეგიონების სკოლებში ჩატარდა 16 საინფორმაციო შეხვედრა

ჩატარებული აქტივობების ეფექტიანობის შესაფასებლად დაინერგა უკუკავშირის მექანიზმები, რათა შეფასდეს ტრენინგებისა და შეხვედრების ეფექტიანობა, განისაზღვროს მონაწილეთა კმაყოფილების დონე და შემდგომი აქტივობები კიდევ უფრო მიზნობრივად დაიგეგმოს.

GCCA-ის წარმომადგენლებმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს

დისკუსიის მთავარი თემები კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებები, და უწყების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იყო.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1944&lng=geo

GCCA-ის სასწავლო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქუთაისის ფილიალის წევრებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა

შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა დეტალურად მიმოიხილეს: მომხმარებლის უფლებები - ძირითადი საკანონმდებლო გარანტიები და ბოლო პერიოდის ცვლილებები; უსაფრთხო ვაჭრობა - წესები და რეკომენდაციები როგორც, ონლაინ, ისე ფიზიკურ სივრცეში ვაჭრობისას და ასევე სააგენტოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1948&lng=geo

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებმა საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო დონის შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1912&lng=geo

ÚOHS
RO OCHRANU HOSPODÁŘSKÉ SOUTĚŽE
FOR THE PROTECTION OF COMPETITION
uohs.c
POTENTIAL CONSUMER SAVING

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი თურმანიძემ, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხებზე, სტამბოლში გამართულ საერთაშორისო ვორქშოფში მიიღო მონაწილეობა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1918&lng=geo

GCCA-ის თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1925&lng=geo

ICN
Craig Whelan
Competition and Consumer Protection Commission, Ireland
A H M Ahsan
Bangladesh Competition Commission, Bangladesh
Eleni Gouliou
Competition and Markets Authority, United Kingdom
Irakli Lekvinadze
Georgian Competition and Consumer Agency, Georgia
Tsuyoshi Ikeda
NGA, Japan Fair Trade Commission, Japan, Japan
Martyna Derszniak
Office of Competition and Consumer Protection, Poland
The Interplay between Competition and Consumer Policies: Integrating Effectiveness and Public Impact
Agency Effectiveness Working Group (AEWG)

GCCA-ის სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ქედელიძე ევროკავშირის კონკურენციის დღისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ღონისძიებას დაესწრო

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1945&lng=geo

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ დაზღვევის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1920&lng=geo

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დასაქმების ფორუმში მიიღო მონაწილეობა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1934&lng=geo

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი შაკიაშვილმა საერთაშორისო ბიზნესფორუმში - „NextGen Business Forum 2026“ მიიღო მონაწილეობა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1940&lng=geo

სააგენტოს სასწავლო - კვლევითი ცენტრის ინიციატივით, უწყების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა (IBSU) და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმებში მიიღეს მონაწილეობა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1941&lng=geo

GCCA-ის სასწავლო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, GCCA-ის წარმომადგენლებმა „ქალები მომავლისთვის“ და “იქომერს ასოციაცია საქართველოს” წევრ ორგანიზაციებთან მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე შეხვედრები გამართეს

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1949&lng=geo

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თანამშრომლებმა ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართულებით ტრენინგი გაიარეს

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1943&lng=geo

GCCA-ის ხელმძღვანელობით, ICPEN-ის ყოველწლიური გლობალური მონიტორინგი (Sweep) ჩატარდა, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი 20 უწყება მონაწილეობდა

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1958&lng=geo

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში - „კონკურენციის პოლიტიკის როლი მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, გლობალური გამოწვევების პირობებში“

https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1957&lng=geo

OPENING CEREMONY
HALIMJON TURAKHUJAEV
LIJA GRAUBERGER
HEAD

IRAKLI LEKVINADZE
CHAIRMAN
GEORGIAN CO
N AND CONSUMER AGENCY | GCCA

კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი უწყებების აქტივობების საერთაშორისო მიმოხილვა

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია - სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისიამ SM HWAJIN და HANKOOK CUBIC დააჯარიმა HYNDAI და KIA-ს ავტომობილების ინტერიერის ნაწილების ტენდერებში კარტელური შეთანხმების გამო.

https://www.ftc.go.kr/www/selectBbsNttView.do?pageUnit=10&pageIndex=1&searchCnd=all&key=12&bordCd=3&searchCtgry=01,02&nttSn=47369

სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია - სამხრეთ კორეამ შვიდ ფქვილის მწარმოებელ კომპანიას რეკორდული - 490 მილიონი დოლარის ჯარიმა დააკისრა ექვსწლიანი საფასო კარტელის გამო

https://www.ftc.go.kr/www/selectBbsNttView.do?pageUnit=10&pageIndex=1&searchCnd=all&key=12&bordCd=3&searchCtgry=01,02&nttSn=47500

იტალიის კონკურენციის უწყება - იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა BOOKING.COM-ის წინააღმდეგ უსამართლო კომერციული პრაქტიკის საეჭვო გამოყენების გამო

https://en.agcm.it/en/media/press-releases/2024/4/PS13115

იტალიის კონკურენციის უწყება - REVOLUT-ს უსამართლო კომერციული პრაქტიკისთვის 11- მილიონ ევროზე მეტი ოდენობის ჯარიმა დაეკისრა

https://en.agcm.it/en/media/press-releases/2026/4/PS12974

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია - LIVE NATION-ს 15-მილიონ PLN-ზე მეტი ჯარიმა და მომხმარებლებისთვის კომპენსაციის ვალდებულება დაეკისრა

https://uokik.gov.pl/en/abusive-clauses-are-being-removed-live-nation-faces-over-pln-15-million-in-fines-and-consumer-refunds

ბრაზილიის ეკონომიკური თავდაცვის ადმინისტრაციული საბჭო (CADE) - ყოველდღიური ჯარიმა META-სა და WHATSAPP-ს

https://www.gov.br/cade/pt-br/assuntos/noticias/cade-mantem-multa-diaria-contra-meta-e-whatsapp-por-descumprimento-de-medida-preventiva

თურქეთის კონკურენციის უწყება - თურქეთის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა კონკურენციის პოლიტიკაზე ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის შესაფასებლად

https://www.rekabet.gov.tr/en/Guncel/competition-policies-in-the-digital-age%E2%80%93724e271ce037f11193f70050568585c9

იტალიის კონკურენციის უწყება - იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა GLOVO ჯგუფის კომპანიებისა და DELIVEROO ITALY-ის წინააღმდეგ

https://en.agcm.it/en/media/press-releases/2026/5/PS13124-PS12991

იტალიის კონკურენციის უწყება - იტალიის კონკურენციის უწყებამ კომპანიებს კარტელურ შეთანხმებაში მონაწილეობისთვის 23-მილიონ ევროზე მეტი ჯარიმა დააკისრა

https://en.agcm.it/en/media/press-releases/2026/4/I871

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისია - ხუთი წლის განმავლობაში ფასების კოორდინაცია და ბაზრის განაწილება - კარტელური შეთანხმება

https://uokik.gov.pl/en/five-years-of-overpaying-decora-and-bel-pol-engaged-in-price-fixing-and-market-sharing

ბულგარეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია - ბულგარეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ ბრალდება წაუყენა შვიდ კომპანიას

https://www.cpc.bg/news-501

ევროკომისია - ევროკომისიამ TEMU-ს ციფრული სერვისების აქტის დარღვევისთვის 200 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა

https://digital-strategy.ec.europa.eu/en/news/commission-fines-temu-eu200-million-breaching-digital-services-act

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია - საწვავის ფასების მონიტორინგი

https://www.accc.gov.au/consumers/petrol-and-fuel/fuel-price-monitoring-during-the-current-middle-eastern-conflict

ჩეხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის ოფისი - ჩვილთა საკვების მწარმოებელს 2 მილიონ კრონზე მეტი ჯარიმა დაეკისრა

https://uohs.gov.cz/cs/vyznamna-trzni-sila/aktuality-z-vyznamne-trzni-sily/4594-vyrobce-detske-vyzivy-dostal-pokutu-pres-2-miliony-korun.html

☎ 15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge
GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102. ქ თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154. ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”